წინასაარჩევნო რეკლამის ეთერში გაშვების პირობები:

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის” 50–ე მუხლის თანახმად, პოლიტიკური რეკლამის გამოქვეყნებისას რეკლამის კუთხეში უნდა იყოს წარწერა: **"ფასიანი პოლიტიკური რეკლამა" ან "უფასო პოლიტიკური რეკლამა".**

წინასაარჩევნო რეკლამის შინაარსთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი:

წინასაარჩევნო სარეკლამო მასალა არ უნდა შეიცავდეს ომისა და ძალადობის პროპაგანდას, არსებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების ძალადობით შეცვლის ან დამხობის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის, ეროვნული შუღლისა და მტრობის, რელიგიური და ეთნიკური დაპირისპირების მოწოდებას.

კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის წინასაარჩევნო სარეკლამო მასალა აგრეთვე არ უნდა შეიცავდეს არაეთიკურ, უცენზურო და შეურაცხმყოფელ სიტყვებს.

„მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, ლიცენზიის მფლობელი პასუხს არ აგებს წინასაარჩევნო რეკლამის შინაარსზე. წინასაარჩევნო რეკლამის შინაარსზე პასუხისმგებლობა კანონმდებლობით დადგენილი წესით ეკისრება რეკლამის დამკვეთს.

ტექნიკური სტანდარტები

კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტს, რომელიც გეგმავს უფასო რეკლამის განთავსებას საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში, მივმართავთ რეკომენდაციით: იმისათვის, რომ სარეკლამო ბადე დაიგეგმოს თითოეული სუბიექტის ინტერესებისა და უფლებების დაცვით, კანონით დადგენილი ნორმების შესაბამისად, სუბიექტმა სრულად უნდა გაითვალისწინოს შემდეგი პირობები:

- წინასაარჩევნო უფასო რეკლამის განსათავსებლად სარეკლამო რგოლი უნდა იყოს წარმოდგენილი საზოგადოებრივ მაუწყებელში მისამართზე: ქ. თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა 68. რგოლს თან უნდა ახლდეს ოფიციალური წერილი საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის სახელზე.

- მოგვაწოდონ სარეკლამო მასალა დროულად, ეთერში გაშვებამდე მინიმუმ 1 დღით ადრე.

- სარეკლამო მასალა უნდა იყოს მოწოდებული TARGA ან AVI ფორმატში 720 x 576 რეზოლუციით DVD დისკზე.

- წარმოდგენილი რგოლის (ან რგოლების) ქრონომეტრაჟი არ უნდა აღემატებოდეს 60 წამს.

- სარეკლამო რგოლი ტექნიკური პარამეტრების და შინაარსის მონიტორინგის შემდეგ განთავსდება ეთერში.

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ მარკეტინგის სამსახურში: 577 21 55 59.